გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N172
2023 წლის 8 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2022 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.	ოქტომბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
2	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს 2022 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.	ოქტომბერი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
3	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილების ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ	ნოემბერი	ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია **მერაბ მელანაშვილი**
4	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2023 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში''.	ნოემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
5	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2022 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.	ნოემბერი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**

6	გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
7	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2022 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.	ნოემბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**
8	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში"	დეკემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
9	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ	დეკემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
10	1.ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ. 2.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ	დეკემბერი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
11	სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში	დეკემბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**

12	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში.	დეკემბერი	ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია **მერაბ მელანაშვილი**